მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესები

სარჩევი

თავი I - ზოგადი დებულებანი 2

მუხლი 1. მეთოდოლოგიური წესების მიზნები 2

მუხლი 2. გამოყენებული ტერმინები 2

მუხლი 3. კონკურენციის წინასწარი რეგულირებისას კვლევისა და ანალიზის ჩატარების პირობები 5

მუხლი 4. კომისიის პრაქტიკული მიდგომები მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზთან დაკავშირებით 6

მუხლი 5. წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების განსაზღვრა 8

თავი II - ბაზრის შესაბამისი და მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების განსაზღვრის პროცედურები და კრიტერიუმები 8

მუხლი 6. მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთჩანაცვლებადობა 8

მუხლი 7. ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების დადგენა 11

მუხლი 8. ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების განსაზღვრა 12

მუხლი 9. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ტევადობის და ავტორიზებული პირების ფარდობითი საბაზრო წილების განსაზღვრა 12

მუხლი 10. სამი კრიტერიუმის ტესტი 14

თავი III - ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენის კრიტერიუმები 15

მუხლი 11 ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლების შეფასების კრიტერიუმები 15

მუხლი 12 ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრა 18

თავი IV- მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების არსებითი პირობების განსაზღვრა 21

მუხლი 13. სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება 21

მუხლი 14. სპეციფიკური ვალდებულებების არსებითი პირობების განსაზღვრა 21

მუხლი 15. სპეციფიკური ვალდებულებების პირობების დაკონკრეტება და ცვლილებების შეტანა 22

მუხლი 16. სპეციფიკური ვალდებულებების გაუქმება 22

მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესები

თავი I - ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მეთოდოლოგიური წესების მიზნები

მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესებით (შემდგომში: „მეთოდოლოგიური წესები“) დგინდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) მიერ კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, კვლევისა და ანალიზის ჩატარების გამჭვირვალე პროცედურები. კერძოდ, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრის, ამ სეგმენტებზე ავტორიზებული პირების საქმიანობაში კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის, ან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების და მათთვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების პირობების დადგენის გამოსავლენად წინასწარი გამოკვლევის ჩატარების მეთოდოლოგიური წესები და პირობები.

მუხლი 2. გამოყენებული ტერმინები

1. ამ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული განმარტებები.
2. არადაბრუნებადი დანახარჯები – გაწეული საინვესტიციო დანახარჯების ის მოცულობა, რომლის ანაზღაურებაც, საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შეუძლებელია გონივრულ ვადაში;
3. ბაზრის სტრუქტურა – ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციისათვის დამახასიათებელი რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების (ფაქტორების) ერთობლიობა, რომელიც მოიცავს: ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ტევადობას, ამ სეგმენტზე მოქმედი ავტორიზებული პირების რაოდენობას, მათ მიერ დაკავებულ ფარდობით წილებს (გაზომვის შესაბამის ერთგვაროვან ერთეულებში), საბაზრო კონცენტრაციის მაჩვენებლებს, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური რესურსების დატვირთული და თავისუფალი სიმძლავრეების ოდენობას, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის სხვა მაჩვენებლებს;
4. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტი – ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების (პროდუქტის) ბაზრის შესაბამისი სეგმენტი, სადაც ავტორიზებული პირი ახორციელებს ბოლო მომხმარებლისათვის საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას;

5. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტი – ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების (პროდუქტის) ბაზრის შესაბამისი სეგმენტი, სადაც ავტორიზებული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას და საკუთარი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვებას ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების საბითუმო მიწოდებას სხვა მსურველი ავტორიზებული პირისათვის, მის მიერ ავტორიზებული საქმიანობის განსახორციელებლად;

6. მომხმარებელთა ჯგუფი - ავტორიზებული პირის მიერ განსაზღვრული მომხმარებელთა კონკრეტული მიზნობრივი სეგმენტი, (მაგალითისთვის მომხმარებელთა კონკრეტულ ჯგუფს შესაძლოა მიეკუთვნებოდნენ იურიდიული და ფიზიკური პირი მომხმარებლები, ისევე როგორც საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები და სხვა..)

7. ერთობლივი ქმედება – ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირების შეთანხმებული (კოორდინირებული) მოქმედება, მათ შორის ისეთი სახის, რომელიც არ გამომდინარეობს ამ პირებს შორის სახელშეკრულებო ან სხვა ურთიერთობებიდან (აფილირებული პირები). ერთობლივ ქმედებად განიხილება იმგვარი გარემოებაც, როდესაც ბაზრის საცალო ან საბითუმო სეგმენტზე ჩამოყალიბებული მდგომარეობა, მისი სტრუქტურა ან ქსელებს შორის ინფრასტრუქტურული კავშირი ხელს უწყობს ავტორიზებულ პირებს ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად განახორციელონ კორელირებული მოქმედებები, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფენ ბაზრის ამ სეგმენტებზე მათ მიერ საბაზრო ძალაუფლების მოპოვებას ან შესვლის დაბრკოლებების ჩამოყალიბებას;

8. მასშტაბით განპირობებული ეკონომია (მასშტაბის ეკონომია) – ავტორიზებული პირის მიერ მომხმარებლისათვის მიწოდებული მომსახურების (ან პროდუქტის) პირობით ერთეულზე გაწეული საშუალო დანახარჯების შემცირების ეფექტი, რომელიც განპირობებულია გაწეული მომსახურების საერთო მოცულობის ზრდით;

9. მომსახურების სახეების მრავალფეროვნებით განპირობებული ეკონომია (მრავალფეროვნების ეკონომია) – ავტორიზებული პირის მიერ მომხმარებლისათვის მიწოდებული მომსახურების (ან პროდუქტის) პირობით ერთეულზე გაწეული საშუალო დანახარჯების შემცირების ეფექტი, რომელიც განპირობებულია ერთგვაროვანი ტექნოლოგიური პროცესით მიწოდებული მომსახურების მრავალფეროვანი სახეობების საერთო მოცულობის ზრდით;

10. მოთხოვნის მხარის ჩანაცვლების დანახარჯი – დამატებითი ერთჯერადი ან განმეორებადი დანახარჯი, რომელიც უნდა გასწიოს მომხმარებელმა ერთი მომსახურების სახის ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურებით ჩანაცვლებისას. ენდოგენური ჩანაცვლების დანახარჯები დაკავშირებულია მომსახურების მიღებისას მომხმარებლის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევასთან, როგორიცაა, მაგალითად, საცნობარო მომსახურების მიღებისათვის ან ანგარიშსწორებისათვის სერვისცენტრში მისვლის (სატრანსპორტო) დანახარჯები. ეგზოგენული ჩანაცვლების დანახარჯები დაკავშირებულია მომსახურების ჩანაცვლებისას ავტორიზებული პირის (ან პირების) მიერ მომხმარებლისათვის დამატებითი დანახარჯის დაკისრებასთან, მაგალითად ავტორიზებულ პირებს შორის გაფორმებული

დაშვების ხელშეკრულების პირობების შესაძლო ცვლილებისას დამატებითი ხარჯის გაწევის მოთხოვნასთან;

11. მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის საზღვრების დადგენა – ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის წინასწარი რეგულირებისას ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მიკუთვნებული ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეების ჯგუფის და შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების განსაზღვრა;

12. მონოპოლიური ბაზრის სტრუქტურა – ბაზრის შესაბამისი სეგმენტის სტრუქტურული ანალიზის შეფასება, როდესაც ამ სეგმენტზე ჩამოყალიბებულია კონკურენტული მოთხოვნა მხოლოდ ერთი მომხმარებლის მხრიდან;

13. ოლიგოპოლიური ბაზრის სტრუქტურა – ბაზრის შესაბამისი სეგმენტის სტრუქტურული ანალიზის შეფასება, როდესაც ამ სეგმენტზე საქმიანობას (მომსახურების მიწოდებას) ახორციელებენ მცირე რაოდენობის (3-დან 9-მდე) ეკონომიკური აგენტები, მომხმარებლების მხრიდან კონკურენტული მოთხოვნა საკმარისად მაღალია და თითოეულ ეკონომიკურ აგენტს საკუთარი ქმედებით შეუძლია გავლენა იქონიოს სხვა მოქმედი ეკონომიკური აგენტების ქმედებებზე ან გადაწყვეტილებებზე და გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები ბაზრის სტრუქტურაში;

14. საბაზრო უპირატესობა – ავტორიზებული პირის ისეთი ტექნოლოგიური, საავტორო-საპატენტო, ფინანსურ-ეკონომიკური, ქსელების ინფრასტრუქტურულ-ორგანიზაციული ხასიათის ან სხვა სახის უპირატესობა, რომლის ფლობა ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მის მიერ შესვლის დაბრკოლებების ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორია და რომლის მოპოვება იმავე ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სხვა ავტორიზებული პირებისათვის რთული და დროში ხანგრძლივი პროცესია, ან მოითხოვს მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციების განხორციელებას;

15. ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეები – სახის, ხარისხის, საფასურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით ერთგვაროვანი მომსახურების სახეები, რომლებიც ფუნქციური დანიშნულების, გამოყენების თავისებურებების, ხარისხის, ტარიფების დონეებისა და სხვა სამომხმარებლო მახასიათებლების მიხედვით ერთობლიობაში იმდენად მსგავსია, რომ მომხმარებელი ცვლის ან მზადაა შეცვალოს ერთი მომსახურება მეორეთი;

16. ჰიპოთეტური მონოპოლისტის ტესტი – რაოდენობრივი ანალიზის ჰიპითეზური დაშვება, რომლის დროსაც ანალიზდება რაიმე ანალიზური ფაქტორის ან მაჩვენებლის ფარდობითი ცვლილება, რომელიც განპირობებულია მცირე (5%-დან 10%-მდე), მაგრამ მნიშვნელოვანი და არაგარდამავალი ხასიათის ტარიფების დონეების ფარდობითი ცვლილებით. მაგალითად, მომსახურების სახეზე ტარიფის ფარდობითი მატებით ამ მომსახურების სახეზე განცალკევებული შემოსავლის ფარდობითი ცვლილების შეფასება ან ტარიფების ცვლილების შემთხვევაში ურთიერთჩანაცვლებადობის რაოდენობრივი მახასიათებლების ან გეოგრაფიული არეალის საზღვრების ფარდობითი ცვლილების რაოდენობრივი შეფასება და სხვა.

17. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ტევადობა (მოცულობა) - წარმოადგენს ამ სეგმენტზე განსაზღვრული მიმწოდებელი ეკონომიკური აგენტების ჯგუფის მიერ

მომხმარებლებისათვის მიწოდებული კონკრეტული ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეების საერთო ჯამურ მოცულობას ღირებულებით ან ნატურალურ მაჩვენებლებში.

18. თვითმომსახურება - საბითუმო მომსახურება, რომელიც გამოიყენება ვერტიკალურად ინტეგრირებული ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო სერვისების უზრუნველსაყოფად საცალო საბაზრო სეგმენტზე საკუთარი საცალო აბონენტებისთვის.

19. საინვესტიციო კიბის პრინციპი - - პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მარეგულირებელი ვალდებულებების არჩევა ეფუძნება იმას, მიიჩნევა თუ არა შესაძლებლად შესაბამისი მომსახურების ბაზრის სეგმენტზე გამოყენებული ინფრასტრუქტურის დუბლირება. იმ შემთხვევაში, თუ ინფრასტრუქტურის დუბლირება შესაძლებელია, კომისიის დაწესებულმა ვალდებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ საინვესტიციო კიბის პრინციპს, რაც გულისხმობს, ბაზარზე ახალშემსვლელი ავტორიზებული პირების დაშვებას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ქსელზე, რათა მათ შეძლონ ინვესტიციის განხორციელება საკუთარი ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწყობის მიზნით.

მუხლი 3. კონკურენციის წინასწარი რეგულირებისას კვლევისა და ანალიზის ჩატარების პირობები

1. კონკურენციის წინასწარი რეგულირებისას ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ჩამოყალიბებული კონკურენციის კვლევისა და ანალიზის პროცედურები მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილების შესაბამისად გამართული საჯარო კონსულტაციის საფუძველზე.

2. კონკრეტული მოთხოვნის ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის დაწყებისას კომისია უფლებამოსილია, დისკრეციულად მიიღოს გადაწყვეტილება მომსახურების მთლიანი ბაზრის, ან მისი ცალკეული ან მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარების თაობაზე

3. კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის დაწყებისას კომისია ატარებს საკითხის პირველად მოკვლევას, რომლის მიზანია წარმოდგენილი არგუმენტების წინასწარი შეფასება და ბაზრის კონკურენტულობის დეტალური, მთლიანი თუ ცალკეული, ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების კვლევისა და ანალიზის ჩატარების აუცილებლობისა და, ამავე დროს, მიზანშეწონილობის დადგენა.

4. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის წინასწარი რეგულირებისათვის კვლევისა და ანალიზის დაწყების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს მოთხოვნაში ან საკუთარ ინიციატივაში წარმოდგენილი არგუმენტების შეფასების, მათ შორის, კვლევისა და ანალიზის დაწყების აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის, აგრეთვე ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მთლიანი თუ ცალკეული ან მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების

კონკურენტულობის კვლევისა და ანალიზის ჩატარების თაობაზე პირველადი მოკვლევის შედეგები.

მუხლი 4. კომისიის პრაქტიკული მიდგომები მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზთან დაკავშირებით

1. კომისიამ ბაზრის ანალიზის პროცესში უნდა განახორციელოს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მომავალზე ორიენტირებული, სტრუქტურული შეფასება შესაბამისი პერიოდის განმავლობაში;
2. შესაბამისი პერიოდის ხანგრძლივობა მოიცავს პერიოდს ბაზრის მიმდინარე ანალიზის დასრულებიდან ბაზრის შემდგომი ანალიზის დასრულებამდე, რომლის ფარგლებშიც კომისიამ უნდა შეაფასოს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის სპეციფიკური მახასიათებლები და განვითარების ტენდენციები.
3. ამოსავალი წერტილი იმ საბითუმო ბაზრის სეგმენტების იდენტიფიცირებისას რომლებიც შესაძლოა დაექვემდებარონ წინასწარ რეგულირებას, ყოველთვის უნდა იყოს შესაბამისი საცალო ბაზრის სეგმენტების ანალიზი.
4. კომისიამ ბაზრის ანალიზის პროცესში უნდა განსაზღვროს არის თუ არა საცალო ბაზრის სეგმენტი ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორ(ებ)ის დადგენის საფუძველზე საბითუმო რეგულირების არარსებობის პირობებში და არის თუ არა ბაზრის სეგმენტზე არსებული არაეფექტიანი კონკურენტული გარემო მდგრადი.
5. ბაზრის სეგმენტზე არსებული არაეფექტიანი კონკურენტული გარემოს მდგრადობის შეფასების მიზნით, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს არსებული საბაზრო პირობები, ისევე როგორც მოსალოდნელი ან პროგნოზირებადი ბაზრის განვითარების ტენდენციები ასიმეტრიული საბაზრო რეგულირების არარსებობის შემთხვევაში; ეს მეთოდი ცნობილია როგორც (მოდიფიცირებული გრინფილდის მიდგომა). მეორეს მხრივ, კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს სხვა ტიპის (სექტორისთვის სპეციფიკური) რეგულირების, გადაწყვეტილებების ან კანონმდებლობის ეფექტები, რომლებიც გამოიყენება შესაბამის საცალო და მათთან დაკავშირებულ ბაზრის საბითუმო სეგმენტებზე შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.
6. თუ ბაზრის საცალო სეგმენტი არის ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი მოდიფიცირებული გრინფილდის მიდგომის მიხედვით, შესაბამისი დასკვნა იქნება, რომ რეგულაცია აღარ არის საჭირო საბითუმო დონეზე.
7. ბაზრის ანალიზის პროცესში კომისიამ შესაძლოა გაითვალისწინოს წინა პერიოდის და მიმდინარე ბაზრის მაჩვენებლები, თუ აღნიშნული მონაცემები შეესაბამება ბაზრის განვითარების ტენდენციებს. ამასთან დაკავშირებით, არსებითად უნდა განიმარტოს, რომ წინა პერიოდის პრაქტიკის შესახებ ნებისმიერი ხელმისაწვდომი მტკიცებულება თავისთავად არ მიუთითებს, რომ ეს პრაქტიკა სავარაუდოდ გაგრძელდება ბაზრის მომდევნო ანალიზის პერიოდში. წინა პერიოდის, პრაქტიკა აქტუალურია თუ ბაზრის მახასიათებლები შესამჩნევად

არ შეცვლილა ან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს შეიცვლება ბაზრის მომდევნო ანალიზის პერიოდში.

8. ბაზრის ანალიზის პროცესში, კომისიამ უნდა გამოიყენოს როგორც სტატიკური, ასევე დინამიური ხედვა, რათა აღმოფხვრას საცალო დონეზე გამოვლენილი ბაზრის არაეფექტიანობები, შესაბამისი საბითუმო მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესებით, რაც, ხელს შეუწყობს ბაზარზე კონკურენტული გარემოს განვითარებას.

9. ბაზრის ანალიზი შესაძლოა ეფუძნებოდეს საბითუმო, საცალო და მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ ბაზრის სეგმენტებს. საცალო ბაზრის სეგმენტი შეიძლება მიუთითებდეს კომისიას საბითუმო ბაზრის სეგმენტის სტრუქტურაზე, თუმცა თავისთავად არ არის გადამწყვეტი საბითუმო დონეზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის დადგენისას. შესაბამისად, არ არის აუცილებელი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორ(ებ)ის გამოვლენა საცალო დონეზე, რათა დადგინდეს, რომ ოპერატორები სარგებლობენ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლებით შესაბამის საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე.

10. შესაბამის საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე ბაზრის საზღვრებისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის პროცესში იმისათვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა ბაზარი ეფექტიანად კონკურენტუნარიანი, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი კონკურენტული შეზღუდვები, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღნიშნული შეზღუდვები დაკავშირებული ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან, ან სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებთან, რომლებიც მიიჩნევა შესადარისად საბოლოო მომხმარებლის თვალსაზრისით.

11. თუ ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისას კომისია დაადგენს, რომ შესაბამისი საცალო ბაზრის სეგმენტი არ ხასიათდება ეფექტიანი კონკურენციით, მან უნდა შეაფასოს საცალო ბაზრის სეგმენტთან დაკავშირებული შესაბამისი საბითუმო ბაზრის სეგმენტები, რომლებიც შესაძლოა დაექვემდებარონ წინასწარ რეგულირებას. საბითუმო ბაზარი სეგმენტი, რომელიც პირველ რიგში უნდა განისაზღვროს და გაანალიზდეს, არის ის, რომელიც ყველაზე მაღლა დგას მოცემული საცალო ბაზრის სეგმენტის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში, ანუ რომლის რეგულირება ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ეფექტიანი კონკურენციის განვითარებაზე შესაბამის საცალო ბაზრის სეგმენტზე. საბითუმო ბაზრის სეგმენტების იდენტიფიცირებისას, რომლებიც შესაძლოა დაექვემდებარონ წინასწარ რეგულირებას, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს საინვესტიციო კიბის პრინციპი. საბითუმო ბაზრის სეგმენტების იდენტიფიცირებისას კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი საცალო ბაზრის სეგმენტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ერთზე მეტ საბითუმო ბაზრის სეგმენტთან.

12. კომისიამ ბაზრის ანალიზის პროცესი უნდა განახორციელოს ამ მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად ჩატარებული ბაზრის ანალიზის დასრულებიდან არაუმეტეს სამი წლის შემდეგ . აღნიშნული ვადა შესაძლოა, კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით გაგრძელდეს დამატებით ორი წლით, თუ ბაზრის სეგმენტზე არსებული კონკურენტული გარემო შუალედურ პერიოდში არ ხასიათდება არსებითი ცვლილებებით.

მუხლი 5. წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების განსაზღვრა

1. კომისიის მიერ წინასწარ რეგულირებას ექვემდებარება ბაზრის ის სეგმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს ამ მეთოდოლოგიური წესებით განსაზღვრული სამი კრიტერიუმის მოთხოვნებს.

2. კომისიის მიერ წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრის სეგმენტების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის შესაბამისი სეგმენტებიც, რომლებიც:

ა) ამ მეთოდოლოგიური წესების მიღების თარიღისთვის უკვე ექვემდებარებოდა წინასწარ რეგულირებას;

ბ) „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში: „ასოცირების შეთანხმება“) (რატიფიცირებულია „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ რატიფიცირების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 18 ივლისის 2495-რს დადგენილებით) ძალაში შესვლის თარიღისთვის ევროკავშირში განისაზღვრებოდნენ, როგორც წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრის შესაბამისი სეგმენტები.

3. წინასწარ რეგულირებას შესაძლოა დაექვემდებარონ ბაზრის ის სეგმენტებიც, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მეთოდოლოგიური წესებით განსაზღვრული სამი კრიტერიუმის მოთხოვნებს და

ა) არ არიან წარმოდგენილნი ევროკომისიის მიერ წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების სიაში;

ბ) ამ მეთოდოლოგიური წესების მიღების თარიღისთვის არ ექვემდებარებოდნენ წინასწარ რეგულირებას

4. კომისია აქვეყნებს წინასწარ რეგულირების დაქვემდებარებული ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განახლებულ ჩამონათვალს, შესაბამის გადაწყვეტილებებთან და დაკისრებულ სპეციფიკურ ვალდებულებებთან ერთად.

თავი II - ბაზრის შესაბამისი და მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების განსაზღვრის პროცედურები და კრიტერიუმები

მუხლი 6. მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთჩანაცვლებადობა

1. საწყის ეტაპზე კომისიამ უნდა დაადგინოს ფოკუსური ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურება, რომლის შეთავაზება ხორციელდება კონკრეტულ

გეოგრაფიულ არეალში და შესაძლოა დაექვემდებაროს სპეციფიკური ვალდებულებების დაწესებას. შემდგომ ეტაპზე, კომისია აფასებს რამდენად ექვემდებარება აღნიშნული მომსახურება კონკურენტულ შეზღუდვას ურთიერთჩამნაცვლებელი მომსახურებების/პროდუქტების მხრიდან. შემდგომში კომისია აჯგუფებს ურთიერთჩამნაცვლებელ მომსახურებებს/პროდუქტებს ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით ერთგვაროვან ჯგუფებად და განიხილავს მათ ბაზრის ერთი შესაბამისი სეგმენტის ფარგლებში, ბაზრის კონიუნქტურის, კონკურენციის, მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლების ფაქტორების, ტარიფების დონის და მათი ისტორიული ცვალებადობის გათვალისწინებით. მომსახურებები, რომელთა ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხი დაბალია, კომისიის მხრიდან არ უნდა იქნან განხილულნი ბაზრის იმავე სეგმენტის საზღვრებში.

2. კომისია სხვადასხვა მტკიცებულებების გამოვლენის საფუძველზე განსაზღვრავს მომსახურებების სპექტრს, რომლებსაც ბაზრის მონაწილე ავტორიზებული პირების მომხმარებლები აღიქვამენ ურთიერთჩამნაცვლებელ მომსახურებებებად, აგრეთვე მათი ჩანაცვლებადობის ხარისხს. ასეთი მტკიცებულებები უნდა მოიცავდნენ ინდიკატორებს, რომლებიც განსაზღვრავენ მომხმარებლების მხრიდან მომსახურებების ჩანაცვლების მიზეზებს. ასეთი ინდიკატორების კატეგორიებს შესაძლოა მიეკუთვნებოდნენ, მომხმარებლის პრეფერენციები მომსახურების/პროდუქტის კონკრეტულ მახასიათებლებთან, ფასებთან, სხვა მომსახურებაზე გადასვლის ბარიერებთან და ხარჯებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა მომსახურებაზე გადასვლის ხარჯის მოცულობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ან ხელი შეუშალოს კონკრეტული მომსახურების ჩანაცვლებას, მაშინ ასეთი მომსახურება ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებად არ განიხილება. სხვა მომსახურებაზე გადასვლის ხარჯი შესაძლოა მოიცავდეს ტერმინალური მოწყობილობების ღირებულებას, ხელშეკრულების დარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმას და ა.შ.

3. ბაზრის შესაბამის სეგმენტის განსაზღვრისას კომისიამ უნდა გამოავლინოს ყველა ის მიმწოდებელი, რომლებიც საქმიანობენ მოცემული ბაზარის სეგმენტზე და აგრეთვე, ის ავტორიზებული პირები, რომლებიც პოტენციურად ფლობენ შესაძლებლობას (ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ფინანსურ, საინვესტიციო და სხვა) განახორციელონ ბაზრის შესაბამისი სეგმენტის საზღვრებში ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეების მიწოდება ერთ წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში.

4. მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას კომისიის მხრიდან შესაძლოა გამოყოფილ იქნას ბოლო მომხმარებელთა ჯგუფი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით და მოხმარების თავისებურებების გათვალისწინებით.

5. კომისიამ შესაძლოა მოაქციოს ორი ან რამდენიმე ბაზრის სეგმენტი ბაზრის ერთიანი სეგმენტის ფარგლებში, თუ სრულდება არანაკლებ ერთი ქვემოთ მოცემული პირობა:

ა) ცალკეულ მომსახურებებს გააჩნიათ ერთგვაროვანი კონკურენტული მახასიათებლები, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული მომსახურებების მიმწოდებლების ქცევაც ერთგვაროვანი იქნება თითოეული განხილული ბაზრის სეგმენტის ფარგლებში; ან/და

ბ) ბაზარზე მოქმედებს საერთო სატარიფო შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ მიმწოდებლების ფასები და ქცევა სავარაუდოდ ერთგვაროვანი იქნება თითოეული განხილული ბაზრის სეგმენტის ფარგლებში;

6. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას, კომისიამ ასევე შესაძლოა გაითვალისწინოს:
რამდენიმე მომსახურების ერთი პაკეტის ფარგლებში მომხმარებლისათვის მიწოდება (შემდგომში „პაკეტი“) მიუხედავად იმისა, რომ პაკეტში შემავალი მომსახურების სახეები არ არიან ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურებები, პაკეტით წარმოდგენილი მომსახურების სახეები შეიძლება განხილულ იქნან ერთი საბაზრო სეგმენტის ჭრილში;
7. კომისიამ უნდა დაადგინოს მომხმარებლის მიერ, პაკეტში შემავალი მომსახურებების ცალკე შეძენის შესაძლებლობები და ასევე მათი ცალკე შეძენის ფასები. კომისიამ უნდა შეისწავლოს, გამოიწვევს თუ არა პაკეტის ფასის ზრდა მომხმარებლების მიერ ინდივიდუალურ მომსახურებაზე გადასვლას;
8. მომსახურებების ურთიერთჩანაცვლების ჯაჭვს, როდესაც ორი „ა“ და „ბ“ სახის მომსახურება (სადაც „ა“ წარმოადგენს ძირითად მომსახურებას) არ არის ურთიერთჩანაცვლებადი, თუმცა ისინი შესაძლებელია იყვნენ ურთიერთჩანაცვლებადი და მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე ბაზრის შესაბამის სეგმენტს, თუ ორივე „ა“ და „ბ“ მომსახურება არის მესამე „გ“ მომსახურების ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურება.
9. ბაზრის საცალო სეგმენტზე ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურებების სხვადასხვა ტექნოლოგიური პლატფორმების საშუალებით მიწოდების შემთხვევაში, განსხვავებული ტექნოლოგიური პლატფორმები ერთი საბითუმო ბაზრის სეგმენტის ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეებად მხოლოდ მაშინ უნდა იქნან განხილულნი, თუ საბითუმო მომსახურების მომხმარებელი ავტორიზებული პირები, კონკრეტულ საბითუმო მომსახურებაზე ტარიფის ზრდის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევის გარეშე შეძლებენ სხვა ტექნოლოგიური პლატფორმის საშუალებით საბითუმო მომსახურების მიღებას.
10. თვითმომსახურების, როგორც საბითუმო ბაზრის შესაბამისი მომსახურების განსაზღვრისთვის, კომისიამ შესაძლოა განსაზღვროს თვითმომსახურების ნომინალური ბაზარი, მაშინ როდესაც საბითუმო ბაზრის სეგმენტზე აღნიშნული მომსახურების მიწოდება არ ხორციელდება, თუმცა არსებობს ამის შესაბამისი ტექნიკური და კომერციული პირობები, ამასთან აღნიშნული მომსახურება მაღალი საბაზრო მოთხოვნით ხასიათდება და საბოლოო მომხმარებლებს ადგებათ ზიანი აღნიშნული საბითუმო მომსახურების მიუწოდებლობის გამო. ამასთან, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ავტორიზებული პირის შესაძლო შეზღუდვები, კონკურენტების ქსელზე დაშვების, ქსელის დაფარვისა და ბაზარზე შესვლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.
11. ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისას მიწოდების მხარის ჩანაცვლება შეიძლება იყოს გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, როდესაც ეფექტურობისა და ჩანაცვლების სიჩქარის თვალსაზრისით მოთხოვნის ჩანაცვლების ეფექტის ეკვივალენტურია.

ასეთი შემთხვევა სახეზეა, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებული პროდუქტის/მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ გადაერთონ ალტერნატიული ურთიერთჩანაცვლებადი პროდუქტის წარმოებაზე მოკლევადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯების გარეშე პროდუქტზე/მომსახურებაზე ფასების არაგარდამავალი მცირე ცვლილებების საპასუხოდ.

12. როდესაც მიწოდების მხარის ჩანაცვლება იწვევს არსებული მიმწოდებლის მატერიალური და არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვანი კორექტირების, დამატებითი ინვესტიციების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების ან დროის შეფერხების აუცილებლობას, აღნიშნული არ განიხილება ბაზრის განსაზღვრის ეტაპზე.

13. კონკურენტული შეზღუდვის მესამე წყარო, პოტენციური კონკურენცია, არ არის გათვალისწინებული ბაზრების განსაზღვრისას, რადგან პირობები, რომლებშიც პოტენციური კონკურენცია რეალურად წარმოადგენს ეფექტურ კონკურენტულ შეზღუდვას, დამოკიდებულია ბაზარზე შესვლის პირობებთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტორებისა და გარემოებების ანალიზზე.

14. ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისას რაოდენობრივი კრიტერიუმების სახით შესაძლოა გამოყენებულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი საბაზრო სეგმენტის კონიუნქტურისა და კონკურენტული მახასიათებლების გათვალისწინებით;

მუხლი 7. ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების დადგენა

1. მომსახურების შესაბამისი სახეების დადგენის შემდეგ, უნდა განისაზღვროს მომსახურების შესაბამისი სახეების გეოგრაფიული საზღვრები. ბაზრის გეოგრაფიული საზღვარი წარმოადგენს გეოგრაფიულ არეალს, რომლის ფარგლებშიც კონკურენციის პირობები მსგავსია, ან ერთგვაროვანია და რომელიც შესაძლებელია გამოირჩეოდეს მეზობელი გეოგრაფიული არეალებისგან, სადაც არსებული კონკურენციის პირობები შესაძლებელია იყოს განსხვავებული. ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები უნდა დადგინდეს ბაზარზე მოქმედი ავტორიზებული პირების ქცევის შეზღუდვების განსაზღვრის გზით, მათ შორის, ტარიფების დაწესების შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც გამოწვეულია საბაზრო სეგმენტზე ურთიერთჩამნაცვლებელი პროდუქტების არსებობით. მოთხოვნის მხარისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლება წარმოადგენს კონკურენტული შეზღუდვის ორ ძირითად ფაქტორს, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული იმ გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას, სადაც მომსახურების მიწოდება წარმოადგენს გეოგრაფიულად განცალკევებული ბაზრის შესაბამის სეგმენტს. კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, არის თუ არა ავტორიზებული პირ(ებ)ის მოქმედება მისი ქსელის ფარგლებში ერთგვაროვანი, ან იმყოფება თუ არა იგი კონკურენციის აშკარად განსხვავებულ პირობებში იმგვარად, რომ მისი ქმედებები შეიძლება შეიზღუდოს გარკვეულ არეალში.

2. კომისიის მიერ სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის დადგენა შესაძლოა ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: კონკურენტების რაოდენობა და მათი შესაძლებლობები, საბაზრო ხვედრითი წილების განაწილება, დიფერენცირებული ფასები,

მომსახურებაზე მოთხოვნის პირობები, განსხვავებული კომერციული პირობები ან მარკეტინგული სტრატეგიები.

3. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას, კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) ბაზრის გეოგრაფიული სეგმენტი იყოს შესაბამისი ზომის, ანუ საკმარისად მცირე, რათა თავიდან იქნას აცილებული კონკურენტული პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებები. თითოეულ ერთეულში, მაგრამ საკმარისად დიდი, რათა თავიდან იქნას აცილებული რესურსზე ინტენსიური მიკრო ანალიზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის ფრაგმენტაცია;

ბ) ასახოს ყველა შესაბამისი ოპერატორის ქსელის სტრუქტურა;

გ) ბაზრის გეოგრაფიულ სეგმენტს ჰქონდეს მკაფიო და სტაბილური საზღვრები დროის განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც გულისხმობს მიმდინარე ბაზრის ანალიზიდან ბაზრის მომავალი ანალიზის დასრულებამდე პერიოდს;

4. კომისიამ შესაძლოა მოაქციოს ორი ან რამოდენიმე გეოგრაფიული ბაზრის სეგმენტი ბაზრის ერთიანი სეგმენტის ფარგლებში, თუ სრულდება არანაკლებ ერთი ქვემოთ მოცემული პირობა:

ა) ცალკეულ მომსახურებებს გააჩნიათ ერთგვაროვანი კონკურენტული მახასიათებლები, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული მომსახურებების მიმწოდებლების ქცევაც ერთგვაროვანი იქნება თითოეული განხილული ბაზრის სეგმენტის ფარგლებში; ან/და

ბ) ბაზარზე მოქმედებს საერთო სატარიფო შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ მიმწოდებლების ფასები და ქცევა სავარაუდოდ ერთგვაროვანი იქნება თითოეული განხილული ბაზრის სეგმენტის ფარგლებში;

მუხლი 8. ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების განსაზღვრა

ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრის ეტაპზე შესაძლოა დადგინდეს მჭიდროდ დაკავშირებული ბაზრის სეგმენტების საზღვრებიც, მომსახურების ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე მოქმედი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ვერტიკალურად ინტეგრირებულობის და ჰორიზონტალური კავშირების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების, მათი ქსელების ინფრასტრუქტურული კავშირების, მათ შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობების, ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის და ერთობლივი ქმედების განხორციელების შესაძლებლობების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით.

მუხლი 9. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ტევადობის და ავტორიზებული პირების ფარდობითი საბაზრო წილების განსაზღვრა

1. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მახასიათებლების გათვალისწინებით, კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას ბაზრის ტევადობისა და ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული წილის გაზომვისათვის შესაბამისი ფუნქციურად ერთგვაროვანი

ერთეულების გამოყენების შესახებ. საბაზრო წილის გაზომვისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

ა) ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეებზე დარიცხული ჯამური შემოსავლები ფულად ერთეულებში;

ბ) კონკრეტული ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების ბოლო მომხმარებელთა (ან აბონენტთა) რაოდენობა;

გ) მომხმარებელთა ჯგუფისათვის მიწოდებული ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების ჯამური ტრაფიკი შესაბამის ერთგვაროვან ერთეულებში;

დ) მონაცემთა გადაცემული მოცულობა შესაბამის ერთგვაროვან ერთეულებში;

ე) ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური რესურსების დატვირთული ან თავისუფალი სიმძლავრეები შესაბამის ერთგვაროვან ერთეულებში;

ვ) განზომილების სხვა ერთეულები, რომლებიც ობიექტურად და გამჭვირვალედ განსაზღვრავენ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას.

2. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ტევადობის დეტალური ანალიზის ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია განისაზღვროს ამ სეგმენტის საზღვრებში მოქცეული ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების ცალკეული სახეების მოცულობები, განცალკევებულად, შესაბამის ერთგვაროვან ერთეულებში.

3. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ინტეგრირებული სტრუქტურის (ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად ინტეგრირებული ეკონომიკური აგენტების, ჰოლდინგური, მრავალფილიალიანი, ავტორიზებული პირის, ურთიერთდამოკიდებული ან ერთობლივად მოქმედი ავტორიზებული პირების) არსებობის შემთხვევაში მისი წილი უნდა განისაზღვროს, როგორც ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მოქმედი ერთიანი ეკონომიკური აგენტის წილი, ასევე დეტალურად, აღნიშნულ სტრუქტურულ გაერთიანებაში შემავალი ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) ეკონომიკური აგენტების მიხედვით.

4. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე პოტენციური მიმწოდებლების და მომხმარებლების ეკონომიკური მაჩვენებლების, მათ მიერ მიწოდებული მომსახურების მოცულობის (აგრეთვე, გაფართოების საპროგნოზო მოცულობის) და საბაზრო წილების საპროგნოზო მონაცემების შეფასებისას შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს:

ა) ავტორიზებული პირების სატარიფო პოლიტიკის კონკურენციის უზრუნველმყოფ პირობებთან შესაბამისობისა და გაფართოების საპროგნოზო მოცულობაზე მათ მიერ მიღებული მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების შესაძლო გავლენის ანალიზის შედეგები;

ბ) თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის პერიოდი საშუალო ან გრძელვადიანი ხასიათისაა, მაგალითად, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისას, და ა.შ. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ტევადობა და ავტორიზებული პირების საბაზრო ფარდობითი წილების გაანგარიშების ერთ-ერთ მეთოდს შესაძლოა წარმოადგენდეს ჰიპოთეტური მონოპოლისტის ტესტი, რომელიც უნდა მოიცავდეს, როგორც რეალურად მოქმედი, ასევე პოტენციურად შესაძლებელი იმ მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს, რომლებიც შეიძლება შემოვიდნენ ბაზრის მოცემულ

სეგმენტზე მნიშვნელოვანი საინვესტიციო დანახარჯების გარეშე, უახლოესი კალენდარული წლის განმავლობაში.

5. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ტევადობის და ავტორიზებული პირების საბაზრო ფარდობითი წილების გაანგარიშებისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული ალტერნატიული მეთოდები, შესაბამისი საბაზრო სეგმენტის კონიუნქტურისა და კონკურენტული მახასიათებლების გათვალისწინებით;

მუხლი 10. სამი კრიტერიუმის ტესტი

1. იმისათვის, რომ განისაზღვროს, ექვემდებარება თუ არა ბაზრის შესაბამისი სეგმენტი წინასწარ რეგულირებას, კომისიამ უნდა ჩაატაროს ამ მუხლით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის ტესტი. ბაზრის შესაბამისი სეგმენტი წინასწარ რეგულირებას ექვემდებარება შემდეგი სამი კრიტერიუმის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში:

ა) პირველი კრიტერიუმი დაკავშირებულია ბაზარზე შესვლის მაღალი და არაგარდამავალი ბარიერების არსებობასთან, რომლის ფარგლებშიც უნდა შეფასდეს რამდენად შესაძლებელია ბაზარზე შესვლა და დადგინდეს შესაბამისი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური სუბიექტის ბაზარზე წარმატებულ შესვლასთან. ავტორიზებული პირისათვის ბაზარზე შესვლის დამაბრკოლებელი ბარიერი შეიძლება იყოს: სტრუქტურული, სამართლებრივი ან მარეგულირებელი;

ა.ა) სტრუქტურული ბარიერების არსებობა გამომდინარეობს, დანახარჯების ან მოთხოვნის სტრუქტურიდან, რომელიც განსაზღვრავს ასიმეტრიულ პირობებს მოქმედ და ბაზარზე ახალ შემსვლელ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რაც აფერხებს ან ხელს უშლის ამ უკანასკნელთა ბაზარზე შესვლას. მაღალი სტრუქტურული ბარიერები ვლინდება იქ სადაც, ბაზარი ხასიათდება უპირატესობებით აბსოლუტური ხარჯების, მასშტაბის ეკონომიისა და ქსელის ეფექტურობის თვალსაზრისით, ამასთან ბაზარზე შესაძლოა მოქმედებდეს სიმძლავრეების შეზღუდვები და ბაზარზე შესვლა დაკავშირებული იყოს მაღალი არადაბრუნებადი ხარჯების გაწევასთან. გარდა ამისა, ბაზარზე შესვლის მაღალი სტრუქტურული ბარიერების არსებობა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ბაზარზე არსებულ გარემოსთან, როდესაც მომსახურების მიწოდება მოითხოვს ქსელის კომპონენტს, რომლის დუბლირება ტექნიკურად შეუძლებელია ან არ არის ეკონომიკურად მიზანშეწონილი.

ა.ბ) სამართლებრივი ან მარეგულირებელი ბარიერები - ასეთი ტიპის ბარიერებს შესაძლებელია ჰქონდეს პირდაპირი ეფექტი პირის ბაზარზე შესვლის პირობებზე. რეგულირებულ სექტორში ავტორიზაციის პროცედურებს, ტერიტორიულ შეზღუდვებს, უსაფრთხოების სტანდარტებს და სხვა სამართლებრივ მოთხოვნებს, შესაძლოა ჰქონდეთ ბაზარზე შესვლის შემაკავებელი ან შემაყოვნებელი ეფექტი. სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერების რელევანტურობა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მცირდება. სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერი, რომლებიც სავარაუდოა, რომ გაუქმდება 5 წლის ვადაში, როგორც წესი, არ იქნება გათვალისწინებული ბაზარზე შესვლის ბარიერად პირველი კრიტერიუმის მიზნებისთვის.

ბ) მეორე კრიტერიუმის ფარგლებში უნდა შეფასდეს მიდრეკილია თუ არა ბაზარი ეფექტიანი კონკურენციისკენ დროის კონკრეტულ მონაკვეთში. კონკურენციის დონის ეფექტიანობის შეფასებისას კომისიამ უნდა გამოავლინოს, რომ ბაზარი გახდება ეფექტიანად კონკურენტუნარიანი წინასწარი რეგულირების არარსებობის შემთხვევაში განხილვის პერიოდში, ან გახდება ასეთი მომავალ პერიოდ(ებ)ში, იმ პირობით, რომ შესწავლის პროცესში შეიმჩნევა ბაზარზე დადებითი დინამიკის აშკარა მტკიცებულება .

ბ.ა) კონკურენციის ადეკვატურობისა და მარეგულირებელი ინტერვენციის საჭიროება - კონკურენციის ადეკვატურობისა და მარეგულირებელი ინტერვენციის საჭიროების შეფასებისას, კომისიამ სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს, არის თუ არა საბითუმო დაშვება ხელმისაწვდომი ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტისთვის გონივრული კომერციული პირობებით, რაც ზრდის კონკურენციის ეფექტიანობას და დადებით შედეგს იძლევა საბოლოო მომხმარებლებისთვის შესაბამის საცალო ბაზრებზე. კომერციულ შეთანხმებებს, მათ შორის, საბითუმო დაშვებაზე, თანაინვესტირების ხელშეკრულებებს და ოპერატორებს შორის ორმხრივი დაშვების შეთანხმებებს, რომლებიც გაფორმებულია გრძელვადიანად და მდგრადია, აქვთ კონკურენტული დინამიკის გაუმჯობესების პოტენციალი და შეიძლება საბოლოოდ გადაჭრას კონკურენციის პრობლემები შესაბამის საცალო ბაზარზე და შესაბამისად გამოიწვიოს საბითუმო ბაზრებზე რეგულაციების გაუქმებაა. ამასთან, იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება კონკურენციის კანონმდებლობის პრინციპებს, ზემოთ აღნიშნული გარემოებები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, მეორე კრიტერიუმის შეფასებისას.

გ) მესამე კრიტერიუმი მიზნად ისახავს შეაფასოს ზოგადი კონკურენციის სამართლის ადეკვატურობა ბაზრის კონკურენციის შემაფერხებელი არაგარდამავალი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, იმის გათვალისწინებით, რომ წინასწარი რეგულირების ფარგლებში დადგენილმა სპეციფიკურმა ვალდებულებებმა შეიძლება ეფექტურად აღკვეთოს კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებები. კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერვენციები, შესაძლოა არ იყოს საკმარისი, მაშინ როდესაც ხშირი ან/და დროული ჩარევაა აუცილებელი ბაზარზე არსებული კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, შესაბამისად ასეთ ვითარებაში, წინასწარი რეგულირება უნდა ჩაითვალოს კონკურენციის კანონმდებლობის ქმედით შემავსებლად.

თავი III - ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენის კრიტერიუმები

მუხლი 11 ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლების შეფასების კრიტერიუმები

1. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითადი (აუცილებელი) კრიტერიუმია ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე

დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილის რაოდენობრივი შეფასება. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი, საბაზრო ძალაუფლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად ავტორიზებული პირი ერთპიროვნულად განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უკავია ფარდობითი საბაზრო წილის არანაკლებ 40 პროცენტისა.

კომისიამ ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს აღნიშნულ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მოქმედი სხვა ავტორიზებული პირების საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ მონაცემების დროთა განმავლობაში ცვლილება. აღნიშნული განსაზღვრავს, მიდრეკილია თუ არა ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ეფექტიანი კონკურენციისკენ. მნიშვნელოვანი საბაზრო ძლაუფლების შეფასების ძირითად კრიტერიუმთან ერთად გამოყენებული უნდა იყოს შეფასების ე.წ მეორეული კრიტერიუმები, შესაბამისად ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის მეორულ კრიტერიუმიებად ბაზრის სტრუქტურიდან და კონკურენტული მახასიათებლებიდან გამომდინარე ერთობლივად ან ცალ-ცალკე შესაძლოა გამოყენებულ იქნას:

ა) რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა - ავტორიზებული პირის მიერ სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით ბაზარზე უფრო დიდი ხნის განმავლობაში საქმიანობა, ან მისთვის შეზღუდული სიხშირული სპექტრის ხელმისაწვდომობა, ან მისი საკუთარი ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ქსელის ისეთი გეოგრაფიული მასშტაბებით გავრცელება, რომელიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის მომსახურების მიღების საშუალებას იძლევა, კონკრეტულ ავტორიზებულ პირს სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს ვინაიდან სხვა ალტერნატიული ავტორიზებული პირისათვის ამგვარი ინფრასტრუქტურის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, ან შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში, ამიტომ ბაზრის ანალიზისას კომისიამ უნდა მოახდინოს ასეთი ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირება და უნდა შეაფასოს საბაზრო ძალაუფლებისთვის მისი არსებობის მნიშვნელობა;

ბ) ტექნოლოგიური უპირატესობები - ინოვაციურ ტექნოლოგიებზე წვდომამ და ძვირადღირებული პატენტებისა და ლიცენზიების ფლობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ავტორიზებულ პირს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მოპოვებაში ან გამყარებაში, შესაბამისად კომისიამ უნდა განახორციელოს ავტორიზებული პირის მფლობელობაში არსებული ინტელექტუალური საკუთრების იდენტიფიცირება და შეაფასოს საბაზრო ძალაუფლებისთვის მისი არსებობის მნიშვნელობა;

გ) მსყიდველობითი ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არარსებობა - აღნიშნული წარმოადგენს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ისეთ მდგომარეობას, როდესაც მომსახურების არსებულ ან პოტენციურ მომხმარებლებს არ გააჩნიათ მომსახურების შეძენის ფასზე ან სხვა მომსახურების პირობებზე გავლენის მოხდენის საკმარისი შესაძლებლობა ან რეგულაციის არარსებობისას საბითუმო მომსახურების მომხმარებელ ავტორიზებულ პირებს არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, რომ პოტენციურად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისგან მიიღონ მომსახურება ისეთი პირობებით, რომელიც

რელევანტურია კონკურენციის მისაღწევად. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ბაზარზე არსებული კონკურენციის შეფასებისას. მსყიდველობითი ძალაუფლება ასევე განისაზღვრება ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მომსახურების მიმწოდებლების რაოდენობით;

დ) კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან მარტივი ან პრივილეგირებული წვდომის შესაძლებლობა - აღნიშნული წარმოადგენს ზოგიერთი ავტორიზებული პირისთვის ისეთ მდგომარეობას, როდესაც მისი მოცულობიდან, საკუთრების ტიპიდან, ან ადგილობრივ და საერთაშორისო ჯგუფთან აფილირებულობიდან გამომდინარე, შესაძლებელს ხდის ამ ავტორიზებული პირისთვის ინვესტიციების განხორციელების, ქსელის განახლების და/ან ქსელის გაფართოების საჭიროებიდან გამომდინარე, კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან (როგორც შიდა, ასევე გარე) უფრო მარტივი დაშვების შესაძლებლობას;

ე) დივერსიფიცირებული მომსახურების სახეები - ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დივერსიფიცირებული მომსახურების სახეების პორტფელის მქონე ავტორიზებულ პირს, მომხმარებლების მხრიდან მომსახურებაზე არჩევანის და მიმზიდველობის თვალსაზრისით, სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით უკეთესი პოზიცია გააჩნია. აღნიშნული შესაძლოა დადებითად აისახოს მის საბაზრო ხვედრით წილზე. ასევე, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ავტორიზებულმა პირმა ბაზრის იმ (მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური) სეგმენტიდან, სადაც ის მნიშვნელოვან ძალაუფლებას ფლობს, მიღებული მოგებით გადაფაროს ბაზრის სხვა (ჩვეულებრივ კონკურენტუნარიან) სეგმენტზე მისი საქმიანობით წარმოშობილი ზარალი;

ვ) მასშტაბის ეკონომია - დიდი მოცულობით მომსახურების უზრუნველმყოფ ავტორიზებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ მიაღწიონ მასშტაბის ეკონომიას, რომელიც განპირობებულია ავტორიზებული პირის მთლიანი დანახარჯების დიდი მოცულობით მიწოდებული მომსახურების ერთეულებს შორის გადანაწილებით;

ვ) მომსახურების სახეების მრავალფეროვნებით განპირობებული ეკონომია (მრავალფეროვნების ეკონომია) - ამ კრიტერიუმს გააჩნია იგივე ეფექტი, რაც მასშტაბის ეკონომიას, თუმცა ხარჯის შემცირება მიიღწევა ერთი და იმავე ინფრასტრუქტურის საშუალებით მიწოდებული სხვადასხვა ტიპის მომსახურებებს შორის ფიქსირებული და ზედნადები დანახარჯების განაწილების შედეგად;

ზ) ვერტიკალური ინტეგრაცია - ვერტიკალურად ინტეგრირებული ავტორიზებული პირები წარმოადგენენ ეკონომიკურ სუბიექტებს, რომლებიც ოპერირებენ პროდუქტის და მომსახურების მიწოდების ღირებულებათა ვერტიკალური ჯაჭვის, როგორც საბითუმო ისე საცალო დონეზე, რაც მათ ანიჭებს კონკურენტულ უპირატესობას სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით, რადგან მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ აბონენტებისთვის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა, შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის პროცესს და მყისიერი რეაგირება მოახდინონ ბაზრის პოტენციურ ცვლილებებზე;

თ) სადისტრიბუციო გაყიდვების განვითარებული ქსელი - კარგად განვითარებული სადისტრიბუციო და გაყიდვების ქსელის მქონე ავტორიზებული პირები სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით უკეთეს პოზიციაში იმყოფებიან, რადგან აღნიშნული უფრო

ხელმისაწვდომს ხდის არსებული და პოტენციური აბონენტებისთვის მომსახურების შეძენის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული კრიტერიუმის გამოყენება მნიშვნელოვანია საცალო ბაზრის ანალიზის დროს;

ი) პოტენციური კონკურენტების არარსებობა - მიწოდების მხარის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით პოტენციური კონკურენტები წარმოადგენენ იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც ბაზრის ანალიზის პერიოდისთვის ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ არიან წარმოდგენილნი, თუმცა ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ფასების მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი და არა-გარდამავალი ხასიათის ზრდის შემთხვევაში, აქვთ შესაძლებლობები გააფართოვონ მათი მომსახურების პორტფელი და/ან საქმიანობის გეოგრაფიული არეალი და დაიწყონ აღნიშნული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

კ) ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის გაფართოებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები - ეს ბარიერები დამახასიათებელია გაჯერებული ბაზრის შესაბამისი სეგმენტისთვის, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ავტორიზებული პირისთვის ბაზრის სეგმენტზე ზრდის/გაფართოების საჭირო შესაძლებლობებს, იწვევს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებული კონკურენტული გარემოს (კონკურენტების არსებული რაოდენობის) კონსერვაციას, რამაც შესაძლოა გააუარესოს ბაზარზე არსებული კონკურენტული მდგომარეობა.

2. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის საბაზრო ძალის შეფასებისთვის, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების პარალელურად ან მათი ალტერნატივის სახით შესაძლოა გამოყენებულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული სხვა კრიტერიუმები ერთობლივად ან ცალ-ცალკე.

მუხლი 12 ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრა

1. ერთობლივი საბაზრო ძალაუფლება არსებობს, როდესაც შესაბამისი ბაზრის ფაქტობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე თითოეული მონაწილე როგორც კი აცნობიერებს საერთო ინტერესებს, თვლის შესაძლებლად, ეკონომიკურად რაციონალურად განსაზღვროს საბაზრო ქცევის საერთო პოლიტიკა პროდუქტის ან მომსახურების კონკურენტულ საბაზრო ფასებზე ძვირად გაყიდვის მიზნით, შეთანხმების დადების ან შეთანხმებული პრაქტიკის გამოყენების გარეშე და იმის გათვალისწინებით რომ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ არსებობენ რეალური ან პოტენციური კონკურენტები ან მომხმარებლები, რომლებსაც შეუძლიათ აღნიშნულზე მოახდინონ ეფექტური რეაგირება;

2. ფარული შეთანხმება უფრო სავარაუდოა, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებობს ხელშემწყობი გარემოებები იმისთვის, რომ კონკურენტებს გააჩნდეთ კოორდინაციის მნიშვნელობის და შემოთავაზებული შეთანხმების ძირითადი პარამეტრების საერთო აღქმა. ამავდროულად, ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას აუცილებელია კომისიამ შეფასების კრიტერიუმები ერთობლივ კონტექსტში გააანალიზოს (თავიდან აირიდოს შეფასების რომელიმე კონკრეტული კრიტერიუმის განცალკევებულად შეფასების

საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება), ამასთან მხედველობაში მიიღოს ფარული შეთანხმების საერთო ეკონომიკური მექანიზმი.

3. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითადი (აუცილებელი) კრიტერიუმია ავტორიზებული პირების მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილის რაოდენობრივი შეფასება. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად ავტორიზებული პირები განისაზღვრებიან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ:

ა) ორი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25 პროცენტისა;

ბ) სამი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 80 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა.

4. ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენისთვის ზემოთ აღნიშნულ ძირითად კრიტერიუმთან ერთად, საჭიროა ერთობლივად დაკმაყოფილდეს სამი ქვემოთ წარმოდგენილი პირობა:

ა) პირველ რიგში, ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე ფარული შეთანხმების თითოეულ მონაწილეს უნდა შესწევდეს უნარი იცოდეს, როგორ იქცევიან სხვა ფარული შეთანხმების სხვა მონაწილეები, რათა დააკვირდეს, ნერგავენ თუ არა ისინი საერთო პოლიტიკას. საკმარისი არ არის ფარული შეთანხმების თითოეულმა მონაწილემ იცოდეს, რომ ურთიერთდამოკიდებული საბაზრო ქცევა ყველა მათგანისთვის მომგებიანია, თითოეულ მონაწილეს ასევე უნდა ჰქონდეს საშუალება იცოდეს, რომ სხვა ოპერატორებს გააჩნიათ იგივე სტრატეგია და მიჰყვებიან მას. ამიტომ, უნდა არსებობდეს საკმარისი საბაზრო გამჭვირვალობა, რათა ფარული შეთანხმების თითოეულმა მონაწილემ მიიღოს ინფორმაცია საკმარისად ზუსტად და სწრაფად, როგორ ვითარდება სხვა მონაწილეების საბაზრო ქცევა.

ბ) მეორე - ფარული შეთანხმების გარემოება უნდა იყოს მდგრადი, კერძოდ უნდა არსებობდეს საკმარისი წამახალისებელი/მასტიმულირებელი ფაქტორები, რომ არ მოხდება საერთო შეთანხმებული პოლიტიკიდან გადახვევა. აღნიშნული სახეზეა მაშინ, თუ შეთანხმებული ქცევის შენარჩუნება სარგებლიანია ფარული შეთანხმების ყველა მონაწილისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, უკუქმედების (დამსჯელი ღონისძიებების) ცნება, საერთო პოლიტიკიდან გადახრილი ქცევის მიმართ, დამახასიათებელია ამ მდგომარეობისთვის. იმისთვის, რომ ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების არსებობის გარემოება იყოს სიცოცხლისუნარიანი, უნდა არსებობდეს ადეკვატური შემაკავებელი მექანიზმები, მასტიმულირებელი ფაქტორები, რომ ფარული შეთანხმების თითოეული მონაწილე არ გადავიდეს საერთო პოლიტიკიდან, რაც ნიშნავს, რომ თითოეულმა მონაწილემ უნდა იცოდეს, რომ მისი მხრიდან მაღალ კონკურენტუნარიანი ქმედება რომელიც მიმართულია მისი საბაზრო წილის გასაზრდელად, გამოიწვევს სხვების იდენტური ქმედებების პროვოცირებას, ამდენად, აღნიშნული ინიციატივა არ გამოიღებს სარგებელს მისთვის;

გ) მესამე - უნდა დასტურდებოდეს, რომ მოქმედი ან პოტენციური კონკურენტები ან მომხმარებლები ვერ შეუქმნიან საფრთხეს იმ სარგებელს, რომელსაც ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტები შეთანხმებული პოლიტიკიდან მოელიან.

5. აღნიშნული კრიტერიუმების შეფასების მიზნებისთვის, კომისიამ შესაძლოა გამოიკვლიოს ისეთი ფაქტორები როგორებიცაა გამჭვირვალობა, მდგრადობა და გარე ფაქტორები;

6. კომისიამ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს:

ა) არსებობს თუ არა ბაზარზე ძლიერი მასტიმულირებელი მექანიზმები, იმისათვის, რომ ოპერატორებმა იმოქმედონ შეთანხმებულად და თავი შეიკავონ კონკურენტულ ქცევაზე დამოკიდებულებისგან, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ანტიკონკურენტული ქცევის გრძელვადიანი სარგებელი აღემატება კონკურენტული ქცევის შედეგად მიღებულ ნებისმიერ მოკლევადიან სარგებელს.

ბ) ფასების მჭიდრო თანხვედრა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით თუ ისინი კონკურენტულ დონეზე მაღალია

გ) განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა და ინვესტიციაზე მიღებული უკუგების მაჩვენებლის გონივრულობა, იმის გათვალისწინებით, რომ ოპერატორი ხშირად ამბობს უარს გონივრული პირობებით საბითუმო დაშვების მომსახურების მიწოდებაზე;

დ) ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მხრიდან არსებული უკუქმედების (დამსჯელი) მექანიზმების არსებობა, მაგალითისთვის ასეთი მექანიზმის არსებობაზე სხვა გარემოებებთან ერთად შესაძლოა მიუთითებდეს ორ ან მეტ კომპანიას შორის მოკლევადიანი საფასო ომის წარმოშობა;

ე) ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მხრიდან ბაზარზე ახალი შემსვლელი ოპერატორებისთვის ბაზარზე შესვლის ბარიერების წარმოქმნის შესაძლებლობა;

ვ) ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მხრიდან ბაზარზე არსებული პოტენციური კონკურენტებისთვის ბიზნეს საქმიანობის გაფართოების ბარიერების შექმნის შესაძლებლობა;

ზ) ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების საბაზრო წილები მათი სტაბილურობა და მასშტაბის ეკონომიის არსებობა;

თ) ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მხრიდან ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტების/სერვისების საცალო დონეზე მიწოდების პოტენციალი;

ი) მარეგულირებელი შეზღუდვების არსებობა, მაგალითად სიხშირულ სპექტრთან დაკავშირებულ განხორციელებულ პოლიტიკას შეუძლია შეზღუდოს მობილური ქსელის ოპერატორების რაოდენობა და ა.შ.

კ) ბაზარზე არსებული და პოტენციური კონკურენტების საბაზრო ძალის შეფასება, ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების ერთობლივი ქმედების შედეგად მიღებული სარგებლის შეზღუდვის კუთხით;

ლ) მომხმარებლების მსყიდველობითი ძალაუფლების დონე;

თავი IV- მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების არსებითი პირობების განსაზღვრა

მუხლი 13. სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება

1. იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებული ბაზრის ანალიზის საფუძველზე, კომისია დაადგენს, რომ ბაზრის შესაბამისი სეგმენტი არის ეფექტიანად კონკურენტუნარიანი, ანუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ადგილი არ აქვს ისეთი ავტორიზებული პირის არსებობას, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვა ავტორიზებულ პირებთან ერთად ფლობს მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას, კომისიამ ავტორიზებულ პირს არ უნდა დააკისროს სპეციფიკური ვალდებულებები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ვალდებულებები უკვე დაკისრებულია, კომისიამ უნდა გააუქმოს ავტორიზებულ პირზე ადრე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები.
2. თუ ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად კომისია დაადგენს, რომ ერთ ან ერთობლივად რამდენიმე ავტორიზებულ პირს აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, იგი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ხასიათიდან გამომდინარე, განსაზღვრავს აღნიშნული პირებისათვის დასაკისრებელი სპეციფიკური ვალდებულებების პირობებს ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ წესების შესაბამისად.
3. თუ კომისია ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების განსაზღვრისას დაადგენს, რომ გეოგრაფიულ არეალებს შორის არსებობს განსხვავებული საბაზრო მახასიათებლები, თუმცა აღნიშნული განსხვავებები არ არის საკმარისი ცალკეული გეოგრაფიული საბაზრო სეგმენტის გამოყოფისთვის ან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის განსაზღვრისთვის კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში, ასეთ შემთხვევაში კომისიამ შესაძლოა მიმართოს დიფერენცირებული ვალდებულებების დაწესების პრაქტიკას სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში. საზღვრის მკაფიოდ იდენტიფიცირების და მისი სტაბილურობის ხარისხი არის ის ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს განსხვავებას საბაზრო სეგმენტების გეოგრაფიულ სეგმენტაციას ვალდებულებების სეგმენტაციისგან.

მუხლი 14. სპეციფიკური ვალდებულებების არსებითი პირობების განსაზღვრა

1. კომისიის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისათვის ან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირთა ჯგუფისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების არსებითი პირობები უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო უპირატესობის ფლობის და მისი ბოროტად გამოყენების, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის დაბრკოლებების ჩამოყალიბების შესაძლებლობების ხასიათს, უნდა იყოს პროპორციულად თანაზომადი და ობიექტურად დასაბუთებული.
2. ავტორიზებულ პირ(ებ)ზე სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებისას, კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების მიზანი და

მასშტაბი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად და გაითვალისწინოს:

ა) სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება უპირატესად უნდა მოხდეს საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე და მხოლოდ იმ ბაზრებზე, რომლებიც არ არის ეფექტიანად კონკურენტული;

ბ) სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება უნდა მოხდეს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციასთან დაკავშირებით გამოვლენილი მიმდინარე, ან პოტენციური პრობლემის აღმოფხვრის მიზნით;

გ) ვალდებულებები უნდა იყოს კონკურენციასთან დაკავშირებით გამოვლენილი, დადასტურებული, პრობლემის პროპორციული და ტექნიკურად შესრულებადი;

დ) სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება უნდა მოხდეს მათი ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით;

3. საცალო ბაზარზე სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საბითუმო ბაზარზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები ვერ უზრუნველყოფს საცალო ბაზარზე ეფექტიან კონკურენციას.

4. ავტორიზებულ პირებისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებისას, კომისიამ შესაძლოა განსაზღვროს ავტორიზებული პირის მიერ ამ ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო დროის გრაფიკი, რომლის განმავლობაშიც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს სპეციფიკური ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული ვადა უნდა ასახავდეს ბალანსს, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტული გარემოს შექმნისთვის აუცილებელ დროსა და სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების საჭირო დროს შორის.

მუხლი 15. სპეციფიკური ვალდებულებების პირობების დაკონკრეტება და ცვლილებების შეტანა

არაეფექტიანად კონკურენტული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე განვითარებული ტენდენციების კვლევისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით კომისია უფლებამოსილია ცვლილებები და დამატებები შეიტანოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების კონკრეტულ პირობებში. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა უნდა განხორციელდეს ახლად გამოვლენილი გარემოებების შეფასების საფუძველზე ამ დებულების მუხლებით დადგენილი პრინციპებისა და მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად.

მუხლი 16. სპეციფიკური ვალდებულებების გაუქმება

1. თუ განხორციელებული მონიტორინგისა და კონტროლისას კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი, სპეციფიკური ვალდებულებები უქმდება და ბაზრის შესაბამისი სეგმენტი კონკურენტულად ითვლება.

2. კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებს რომლებსაც შეეხებათ სპეციფიკური ვალდებულებების გაუქმება, განესაზღვროთ გარდამავალი პერიოდი, რომლის ფარგლებშიც ვალდებულებები დარჩება ძალაში. გარდამავალი პერიოდი უზრუნველყოფს ვალდებულებების ბენეფიციარების, საბოლოო მომხმარებლების, და მომხმარებელთა არჩევანის სტაბილურ გარდამავალ რეჟიმს. ამასთან, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში კომისიას უფლება აქვს დაადგინოს კონკრეტული პირობები და მოთხოვნები დაშვების მიმდინარე ხელშეკრულებებთან მიმართებით.